

## დანართი # 1

### იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

#### სასწავლო კურსის სილაბუსის სტრუქტურა

(ცვლილებები დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომაზე 2015 წლის 28 მაისს, ოქმი #23)

სასწავლო კურსის სილაბუსი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას მითითებული თანმიმდევრობით:

#### **სასწავლო კურსის სახელწოდება:**

**სასწავლო კურსის კოდი:** [ კოდის მინიჭება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად ]

**ლექტორ(ებ)ი:** [ მიუთითეთ ლექტორის/ლექტორების სახელი, გვარი , სტატუსი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ - პროფესორი, ასისტენტი, მასწავლებელი, მოწვეული პროფესორი, მოწვეული მასწავლებელი), სამუშაო ადგილი (ფაკულტეტი, დეპარტამენტი და ა.შ.), საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი, ელ. ფოსტა, კონსულტაციის დღეები, საათები და ადგილი . ]

**კრედიტების რაოდენობა (ECTS) და საათების განაწილება:** [ მიუთითეთ კრედიტების რაოდენობა; საათების რაოდენობა, მათ შორის სტუდენტთა საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა სემესტრული და კვირეული გათვლით; მიუთითეთ საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (რამდენი ლექცია, პრაქტიკული ან ლაბორატორიული მეცადინეობა, შუალედური და ფინალური გამოცდა არის გათვალისწინებული) ] .

**სასწავლო კურსის სტატუსი:** [სავალდებულო ან არჩევითი; ასევე მიუთითეთ ვისთვის არის ეს სასწავლო კურსი გათვალისწინებული: ფაკულტეტი, სემესტრი, პროგრამის სახელწოდება სწავლების საფეხურის (პროფესიული, ბაკალავრიატი, დიპლომირებული მედიკოსი, მაგისტრატურა ან დოქტორანტურა მითითებით . ]

**სასწავლო კურსის მიზნები:** [მოკლედ და მკაფიოდ აღწერეთ სასწავლო კურსის ძირითადი მიზნები. მიზანი მიმართულია ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის დონის განსაზღვრაზე . ]

**სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები:** [მიუთითეთ (არსებობის შემთხვევაში) მხოლოდ იმ სასწავლო კურსის (კურსების) დასახელება, რომელთა შესწავლა სავალდებულოა მანამ, სანამ სტუდენტი ამ სასწავლო კურსის შესწავლას დაიწყებს; თუ ასეთი არ არსებობს, მაშინ აღნიშნეთ, რომ სასწავლო კურსს შესწავლის წინაპირობები არ გააჩნია ]

**სასწავლო კურსის სწავლის შედეგები:** [მიუთითეთ ის დარგობრივი ცოდნა და ზოგადი კომპეტენციები, რომლებსაც სტუდენტი შეიძენს ამ სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ (დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თესაუ-ს ვებგვერდზე: [www.Tesau.edu.ge](http://www.Tesau.edu.ge), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ველში ]

**სასწავლო კურსის შინაარსი:** [მიუთითეთ კვირების მიხედვით, თუ რა თემები იქნება განხილული ყოველ კვირას შესაბამისი საათების, ლიტერატურის და დასამუშავებელი გვერდების მითითებით.

**სწავლებისა და სწავლის ფორმები და მეთოდები:** [მიუთითეთ თუ სწავლებისა და სწავლის რა ძირითადი ფორმები და მეთოდები გამოიყენება სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად .]

**შეფასების კრიტერიუმები:** [მიუთითეთ შუალედური და საბოლოო შეფასების ფორმები და მეთოდები. ასევე მიუთითეთ შეფასების თითოეული ფორმის ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებისათვის უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების მიხედვით. მოიყვანეთ დეტალური ინფორმაცია სტუდენტის შეფასების შესახებ და ის მოთხოვნები, რასაც უყენებთ სტუდენტს შეფასების დროს .]

**ძირითადი ლიტერატურა:** [მიუთითეთ ძირითადი სახელმძღვანელოები , რიდერ(ებ)ი , კონსპექტი, ელექტრონული რესურსები, ვებ გვერდი, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს სწავლება. ასევე მიუთითეთ, თუ სად, რომელ ბიბლიოთეკაში, ფაკულტეტზე, დეპარტამენტში არის ხელმისაწვდომი მითითებული ლიტერატურა. ლიტერატურა მითითებული უნდა იყოს APA-სტილის ან უნივერსიტეტში არსებული წესის მიხედვით (დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თესაუ-ს ვებგვერდზე: [www.Tesau.edu.ge](http://www.Tesau.edu.ge), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ველში; გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ძირითადი ლიტერატურის ერთი სახეობა მაინც ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში უნდა იყოს ქართულ ენაზე.]

**დამხმარე ლიტერატურა:** [მიუთითეთ ყველა ის წიგნი, სამეცნიერო სტატია, ელექტრონული რესურსი, ვებ-გვერდი, რომელსაც იყენებთ სწავლებისას. ასევე მიუთითეთ, თუ სად, რომელ ბიბლიოთეკაში, ბიბლიოთეკაში, ფაკულტეტზე, დეპარტამენტში არის ხელმისაწვდომი მითითებული ლიტერატურა. ლიტერატურა მითითებული უნდა იყოს APA - სტილის ან უნივერსიტეტში არსებული წესის მიხედვით (დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თესაუ-ს ვებგვერდზე: [www.Tesau.edu.ge](http://www.Tesau.edu.ge), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ველში]